დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იღხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№12 1947

დილა

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური ორგანო
საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 12
დეკემბერი
1947

წელიწადი
მეჩვიდმეტე

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იღხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

ოქროსყდიანი წიგნი

გაკვეთილებს რომ სწავლობდნენ
გუშინ რეზო და ლია,
მალმალე გაიხსენებდნენ
ლამაზ წიგნს, ოქროსყდიანს.

— ოქროს ფურცლებზე ნაწერი
წიგნი ვის გაუგია?—
ვკითხე და არ მიპასუხეს,—
პატარა ხარო, გია!

მამამ მიუგო:—მართალი
უთქვამთ რეზოს და ლიას,
ჯერ პატარა ხარ, ყველაფერს
მიხვდები უფრო გვიან.

შვილო, იმიტომ ვეძახით
იმ დიდ წიგნს ოქროს ყდიანს,
ყოველი ასო ოქროზე
ძვირფასად მიგვაჩნია.

— ან ვისი დაწერილია,
ან სახელად რა ჰქვია?
ეს მაინც მითხარ, მამიკო,—
აღარ ისვენებს გია.

— მას შვილო, ბედნიერების
დიდი ქარტია ჰქვია,
ს ტ ა ლ ი ნ ი ს დაწერილია,
ჩემო პატარა გია!

იოსებ ნონეშვილი

4797

გორში ნახატი რ. სტურუასი

არასდროს დაგავიწყდებათ...

გორი თუ ერთხელ გინახავთ,
სიზმრადაც მოგეჩვენებათ
მისი ციხე და გორები,
მისი ზღაპრული მშვენება.

არასდროს დაგავიწყდებათ
სად უნდა იყოთ, სად არა,
დიდი ბელადის აკვანი,
ეზო და ქოხი პატარა.

მოდით, მოგროვდით, იხილეთ,
თუ ვინმემ დღემდის არ ნახა—
ქოხს ირგვლივ თლილი სვეტები
გადახურული ჩარდახად.

ნახეთ ბროლისგან ნაშენი
თვალისმომჭრელი თაღები,
ხალხთა დიდების აკვანი,
ტურფად ნაშენი ბაღები.

გრიგოლ აბაშიძე



პუტილოველის ნაამბობი

მიმდინარე წლის 1-ლ დეკემბერს შესრულდა 13 წელი დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის სერგეი მირონის-ძე კიროვის ვერაგული მკვლელობიდან.

სერგეი მირონის-ძემ მთელი თავისი სიცოცხლე საბჭოთა ქვეყნის ძლიერებისა და აყვავების საქმეს მოახმარა და ამიტომაც საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარდა თავისი ერთგული მირონიჩი.

კიროვი საბჭოთა ხალხისათვის არასოდეს არ მოკვდება. იგი მუდამ ჩვენთან იქნება.

სწორედ იმ დროს ჰირველი საბჭოთა ტრაქტორების წარმოებას ვაწესრიგებდით. ამხანაგი კიროვი თითქმის ეოველდღე მოდიოდა ქარხანაში. ზოგჯერ ღამითაც დაგვხვდავდა. არავის არ გაუმხელდა, არ გაგვაფრთხილებდა და უეცრად: — გამარჯვება თქვენი! როგორა ხართ?

ასევე მოულოდნელად ჩამოვიდა ერთხელ ღამის ცვლაზე, შეკრიბა ოსტატები, ინჟინრები, ტექნიკოსები, და ტრაქტორების სახელოსნოში წავედით.

მახსოვს შევჩერდით დაზგასთან და ვსაუბრობთ. საუბარი კი გვიჭირს: სახელოსნოში ხმაურია, რახრახი, მანქანების რახუნი, მუშები თავიანთ სერგეი მირონის-ძეს ესალმებიან. უეცრად შევნიშნე, რომ კიროვმა ეურადღება რაღაცაზედ გაამახვილა, მოიღუშა.

ირგვლივ სალხის ხმაურია. მას რადაცას ეუბნებიან, ის კი წარბ-მოღუშული დგას, გვერდზე იეურება და მანქანას უთვალთვალებს.

რა მოხდა, სერგეი მირონის-ძევ, რა მოგვიდათ? —შეეძახე მე.

მან თავი გაიქნია, შეიჭმუხნა და მიპასუხა:

— წივის.

— ვინ წივის?

— მანქანა.

რა თქმა უნდა, ეველა გავჩუმდით და სმენად გადავიქეცით, წარმოიდ-გინეთ არავის არავითარი წრიპინი არ ესმის. ბოლოს ერთმა ხნიერმა მუშამ სთქვა:

— მართლაც... უთუოდ მღარა-ვის საჭრელი ნაწილი ოდნავ ჭრა-ჭუნობს.

— კბილანაა მოცვეთილი, — შენიშნა კიროვმა.

— რასა ბრძანებთ, შეუძლებე-ლია,—სთქვა მუშამ.

— მე კი ვამბობ, მოცვეთი-ლა ხუთი, ექვსი მილიმეტრით, აბა ნახე.

ნახეს და როგორ ფიქრობთ თქვენ, მართლაც მოცვეთილი იეო ამ ბღარავის კბილანა. გამოვზომეთ და მოცვეთილი აღმოჩნდა ზუსტად ხუთი მილიმეტრით. მოხუცი მღა-რავი მუშა გაოცებისაგან იქვე სკამ-ზე დაეშვა.

— კი მაგრამ, როგორ მიხვდით ამ ამბავს სერგეი მირონის-ძევ? შეე-კითხა იგი ბოლოს.

— როგორ მივხვდი? სხვათა შორის, მე აღზრდა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში კი არ მიმი-ღია. მე,ჩემო ძვირფასო ბიძია, ჯერ კიდევ სახელოსნო სასწავლებელში სწავლის დროს მქონია საქმე მღა-რავთან. ხელებზე საპოხი დღემდე არ გადამცლია—უპასუხა კიროვმა.

ლ. პანფელეევი

ოცდაერთი დეკემბერი

(ბელადის დაბადების დღე)

მე უკვე დიდი ბიჭი ვარ,
წელს შევისწავლე ანბანი,
დავჯექ და კითხვა დავიწყე,
გავიგე ერთი ამბავი.

მზიავ, აქ მოდი, მისმინე,
ჩემო პაწია დაიკო,
შენთვის ვკითხულობ, ნუ ცელქობ,
ახლა შენც უნდა გაიგო!

ჩამოჯექ, გადავიკითხოთ
ძია სტალინის ცხოვრება.
მაღე შენც დიდი გახდები,
ჩემსავით გემახსოვრება:

დეკემბრის ოცდაერთია,
ჩვენ რომ ღიმილი გვაჩუქა,
ამ დღეს პატარა ქოხიდან
დიდმა მზემ ამოაშუქა!

გიორგი შაჯბერაშვილი



დავით ბაქრაძე

საბჭოთა კავშირის გმირი

ნახატები გ. ჩირინაშვილისა

პატარა პარტიზანები

ჩვენს პარტიზანულ რაზმში ბლომად იყვნენ მოზარდები. ავიღებდით თუ არა ქალაქს ან სოფელს, კომკავშირელები და პიონერები ჩვენთან მოდიოდნენ და რაზმში ეწერებოდნენ. რაზმის მეთაური, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, გენერალ-მაიორი ს. კოვპაკი და რაზმის კომისარი ს. რუდნევი ხალისით ხვდებოდნენ მათ.

პატარა პარტიზანებს თავიანთი წრე ჰქონდათ: თავისუფალ დროს ანკესებით თევზაობდნენ, დახტოდნენ, მხიარულებდნენ. ისინი კარგი კავშირ-გამბმელები და მზვერავები იყვნენ.

პატარა რუდნევს რაზმში ცნობილ მზვერავ ვაჟკაცთან ივან არხიპოვთან ჰქონდა მეგობრობა. იგი ჩვენი რაზმის კომისრის ვაჟი იყო. თოთხმეტი წლის რუდნევი მამასთან ერთად მოვიდა რაზმში. კეთილი და თაკაზიანი ბავშვი მალე პარტიზანების საყვარელი მეგობარი გახდა.

პარტიზანთა რიგებს ამშვენებდა თექვსმეტი წლის ორი ლიონია — ჩეჩეტკინი და საბელინი. განსაკუთრებით ლიონია ჩეჩეტკინი იყო მოხერხებული და ჭკვიანი ბავშვი. თავისი გამბედაობით და მოხერხებით მას აღტაცებაში მოჰყავდა რაზმელები.

ერთხელ პარტიზანები ღამის ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული. ბრძოლამ გათენებამდე გასტანა. ვაზნები გვითავდებოდა, რის გამოც ჩვენს რაზმს დიდი საფრთხე მოელოდა. ღამის სიბნელეში ჩეჩეტკინი სადღაც გაჰქრა. ცოტა ხნის შემდეგ მტერმა სროლა გააძლიერა, ეტყობოდა იერიშის მოსატანად ემზადებოდა. ამ დროს მეტყვიამფრქვეველებმა ორი მოძრავი ლანდი შენიშნეს.

— ვინა ხართ, შესდექით! — მიაძახეს გაურკვეველ ლანდებს პარტიზანებმა.

— მე ვარ, ლიონია, — უპასუხა ჩეჩეტკინმა.

ორი წუთის შემდეგ ჩეჩეტკინი ყუთებაკიდებული ცხენით მეტყვიამფრქვეველების წინ გაჩნდა.

— აჰა, ორი ყუთი ვაზნა, გერმა-

ნელებმა მოგვართვეს, მტერს ისე გაუმასპინძლდით, როგორც მათ ეკადრებოდეთ! — ღიმილით მიმართა მებრძოლებს გამბედავმა ბიჭმა.

როგორც შემდეგ გამოვარკვიეთ, ლიონია სიბნელეში მტრის თავდაცვის განლაგებაში გამძვრალა, იქ ღობეზე მიბმულ ვაზნებით დატვირთულ ცხენს წაწყდომია, ფრთხილად აუხსნია ივი და ჩვენთან უვნებლად მოიყვანა. ლიონია ჩეჩეტკინის მამაცობა ზღაპრულია, მაგრამ სიმართლეა.

ჩვენს რაზმში იყო აგრეთვე თოთხმეტი წლის პიონერი, რომელსაც ზედმეტ სახელად „მიხეილ კუზმიჩს“ ვეძახდით. მან კარგად იცოდა ცხენზე ჯდომა. დაზვერვაზე იგი ცხენით დადიოდა და დავალებას ყოველთვის ჩინებულად და სწრაფად ასრულებდა. ახალაღებულ სოფელში ცხენით შეჭრას ვერავინ მოასწრებდა. სოფლიდან უკან გამობრუნებული მხიარულად წინ შემოგვეგებებოდა, სახელდახელოდ გვიამბობდა, თუ რომელი მიმართულებით გაიქცნენ სოფლიდან ფაშისტები ან სად რამდენი საწყობი დასტოვა მტერმა, როგორია მოსახლეობის მდგომარეობა და სხვა.

მოზარდების პარტიზანთა რიგებში ყოფნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათი ჟრიამული რაზმში დიდი ოჯახის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

მუდამ სიამოვნებით ვიგონებ ამ მოზარდი მეგობრების სიცოცხლით სავსე და პირმოცინარ სახეებს.



ალისფერი დროშები

(უკრაინული ხალხური სიმღერა კიროვზე)

ალისფერო დროშებო
ქობა რად გაქვთ შავი?
გამარჯვების დროშებო
რად დახარეთ თავი?
ძაძა რისთვის გავლიათ
ასეთ წითელ დროშებს?!
პასუხობენ დროშები:
— „მირონიჩი მოჰკლეს...“

ალისფერო დროშებო,
სწორედ მიკვირს თქვენი,
მარტო ქობა-არშია
რად გაქვთ შავი ფერის,
რაღად მოალივლივებთ
კალთით წითელ კოცონს?
პასუხობენ დროშები:
„მირონიჩი ცოცხლობს!“

ი. ბრიშაშვილი

ორი დეესი

1. მეგობრები

ჩვენმა ცელქმა ბიჭუნებმა
ავი საქმე განიზრახეს;
რა იცოდა კატუნიამ,
რომ უგებდნენ საწყალს მახეს.

და ეს მოხდა ამ გაზაფხულს
ქართლში, სოფელ წინარეხში:
ტომარაში ჩასვეს კატა
და ჩააგდეს მდინარეში.

ეზოს ძაღლიც იქვე იდგა,
შეჰყურებდა კატის სასჯელს
და ამბობდა: „აბა, ცუგრი,
ის ტომარა კბილით გასჭერ!“

სთქვა და გაჩნდა მდინარესთან,
გადაეშვა, ფონს გასცურა
და თავისი მეგობარით
შინ დაბრუნდა მამაცურად.

შერცხვათ ბიჭებს და დაიწყეს
ერთმანეთის კიცხვა, გმობა...
კიდევ იტყვით, ძაღლს და კატას
არ სცოდნიათ მეგობრობა?!

2. ლოკოკინები

სოფლის გზაზე მივდიოდი
ჰაწაწინა ბიჭი,
და ჯერ არც კი გადამქდარა
ოცდოდე ბიჯი—

ძირს გაფანტულ ლოკოკინებს
უცებ მოვკარ თვალი,
და ერთბაშად აირია
ჩემი გზა და კვალი.

ეს ჰირველი ნახვა იყო,
არ მენახა წინად,
გავიფიქრე: „რა იქნება,
რომ წავიღო შინა?“

ქვასა ჰგავს და არც ქვა არის,—
გამიკვირდა მეტად;
„ალბათ, დიდებს დაჰკარგვიათ,“
რა იქნება ნეტა?

ეს ახალი სანახავი
მომეწონა ისე—
ჯიბეები ლოკოკინით
სელად ამოვივსე.

მოველ სახლში არხეინად,
არ მიგრძვნია დაღლა,
ვხედავ: ყველა ლოკოკინა
ამოსულა მაღლა:

ზოგი ზურგზე შემჯდომია,
ზოგი—გულისჰირზე,
ზოგი ქუდზე დასეირნობს,
ზოგი თვალში მიმზერს.

ზოგი მხრებზე ამომსვლია
ზოგიც ეკვრის ქამარს,
ვაიმეო,—დავიძახე
და მივეკარ მამას.

შემეშინდა. ავზლუქუნდი.
ცხარე ცრემლიც ვღვარე,
მიშველეს და—ტაჰ!—ყველანი
ქვემოთ ჩამოვეარე.

მამამ ხელი გადამისვა,
დაატანა თანაც:
— რა გატირებს, ლოკოკინა
იებინება განა?

ნახატები ნ. ფალავანდიშვილისა

კ. ჩუკოვსკი

გადმოკეთებული
ირაკლი აბაშიძის მიერ

ჭუჭყიანი

ბალიშები გადაცვივდნენ,
გადაფრინდა ზეწარი,
საბანს მიჰყვა ტანსაცმელი...
ამას რას მოვესწარი!
სანთელს ხელი წავტანე —
შიგ ღუმელში ჩავარდა,
წიგნს შევეხე — საწოლს ქვემოთ
შეძვრა თავისთავადა.
ჩაიდანი უთოს მისდევს,
უთო მისდევს წაღასა,
სამელნე და ტანსაცმელი
წიგნს მისდევენ სადღაცა.
და გარბიან ფანჯრისაკენ
ქამარი და გიტარა;
ფანჯარაში მზე იცინის,
განგებ გამოიდარა.

უცებ დედის საწოლიდან
კაცად გამოსახული
გამოვარდა პირსაბანი
ყვირილით და ბრახუნით:
— უსუფთაო, ჭუჭყიანო,
გოჭო, ტალახიანო,
შავი ზღარბი უნდა გერქვას,
შენ კი ბალღი გქვიანო.

ცხვირ-პირი გაქვს ქვისფერი,
ჭუჭყიანი კისერი.

დილით, როცა იღვიძებენ
მინდვრები და კუნჭულები,
პირს იბანენ თაგუნები,
კატები და ჭუჭულები.

შენ კი, თითქო ვერ გეშოვოს
წყალი, პირზე შესასხმელი,
მიტომაა, რომ გაგექცა
წიგნებიც და ფეხსაცმელიც.

აღრიალდა პირსაბანი,
მთელმა ბინამ მისცა ბანი:
— მე ვარ დიდი ბედაური,
პირსაბნების მეთაური!
ადექ, თორემ ეს-ეს არი
გამოვიხმე ჩემი ჯარი;
არ ხარ ძნელი მისაგნები,
გიპოვნიან პირსაბნები!

შემოფრინდნენ ჯაგრისები,
შემოვარდა სავარცხელი,
გაჰკივიან, იძახიან:
— აბა წყალი, აბა ცხელი!
აქეთ მეცა სავარცხელი,
შესრიალდა უცებ თმაში,
იქით კბილის ჯაგრისები
შემესივნენ ორთავ ყბაში.

აქ საპონი დამეჯახა,
თითქოს ჩემთვის გაწაფული:
„უნდა გნახო გასაპნული!
უნდა გნახო გასაპნული!“



ნახატები **ანდრო კანდელაკისა**

ბიჭი

მსურდა თავი დამეღწია,
მაგრამ მყისვე დამეწია...

გზად ნიანგი მოდიოდა
ნიანგებით პატარებით,
ის-ის იყო აფრიკიდან
მოსულიყო მატარებლით.

დამინახა, დამიყვირა,
მგონი ცემა დამიპირა:

— გასწი, პირი დაიბანე,
ადამიანს დაემგვანე,

თორემ შავ დღეს განახებო,
კბილები მაქვს სანაქებო!

ვქუსლე, კურდღელს დავემგვანე,
პირსაბნისკენ გავექანე.

წავატანე ჯაგრისს ხელი:
აბა წყალი, აბა ცხელი,

აბა ქაფი, აბა სქელი,
აბა თმაში სავარცხელი!

როგორც მნახეს დაბანილი,
მორბის ყველა გაქცეული:
შარვალი და ჯამ-ჭურჭელი,
ფისო, ხელებ-აწეული;

ბალიში და ფეხსაცმელი
და ნამცხვარი გემრიელი.

ჰა, წიგნებიც დამიბრუნდნენ,
ვით ზეიმზე წვეულები;
აი ისევ შემოფრინდნენ
ფანქრები და რვეულები.
და ამღერდა პირსაბანი,
მთელმა ბინამ მისცა ბანი:

— განა გადნი, განა გაცვდი?
ჰხედავ, როგორ გალამაზდი!
ვინც არ იბანს, არ ივარცხნის,
არ გამოჰყოს კარში ცხვირი,
შეარცხვინეთ, მიაძახეთ:
მას სირცხვილი, მას სირცხვილი!
დღეგრძელ იყოს ცხელი წყალი
და საპონი ქაფიანი,
ყველა ბალღი გალამაზდეს:
შარვლიანი, კაბიანი.
მიაშურეთ წყალს და ჰაერს,
აბანოს და აბაზანებს;
არც მდინარე ზაფხულობით
არვის ავნებს, არას ავნებს.

—

ბანაობას აბა რა სჯობს?
სისუფთავეს გაუმარჯოს!

მზიას ავადმყოფი

ამ დიდით კარგად, მხნედ იყო,
ახლა კი, თავი დახარა;
მზიას დამაზი დედიკო
თურმე წევს, ავად გამხდარა.

ეტყვის: „დედიკო, დამაზო,
იყუჩე, არა უშავს-რა!“
ხან წითელ ვაშლებს სთავაზობს,
ხან კი წამლიან შუშასა.

თავს დასტრიალებს ფუსფუსებს;
ღამეა, ალარ იძინებს.
ხან ეტყვის: „ხელს ნუ გამოჰყოფ!„
ხან კიდევ: „ოფლი იდინე!“

გამხიარულდა დედიკო
და ან რა დაალონებსა;
შვილის ზრუნვა და ტიტინი
მატებს ძალას და ღონესა.

ვიქტორ გაბესკირია

კოტეს შერცხვა

არითმეტიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა სიკო დაფასთან გაიხმო, მაგრამ კლასში ცარცი არ აღმოჩნდა. მასწავლებელმა ცარცისათვის კოტე გაგზავნა.

— ნება მომეცით, ცოტახნით კლასიდან გავიდე —სთხოვა სიკომ მასწავლებელს.

მასწავლებელმა ნება დართო და თვითონ უკანა მერხებისაკენ წავიდა რვეულების დასათვალიერებლად.

მალე სიკო და კოტე კლასში დაბრუნდნენ. კოტე თავის ადგილას დაჯდა.

— აბა, სიკო, მოდი დაფასთან, — უთხრა სიკოს მასწავლებელმა. სიკო არ იძვროდა.

— რას უცდი? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— ცარცი აქ დავდე და ალარ არის, გაუბედავად სთქვა კოტემ და მეორე მერხზე აჩვენა, სადაც თემური და სანდრო ისხდნენ.

— აქ არ დაუდვია ცარცი, — მიმართა თემურმა მასწავლებელს.

— არ დაუდვია, — წამოხტა სანდროც.

— შენ კარგი ბიჭი მეგონე და ტყუილი გცოდნია, — წყენით უთხრა მასწავლებელმა სანდროს.

— ჩვენ არ გვინახავს, ჩვენს მერხზე არ დაუდვია, — ერთხმად წარმოსთქვეს სანდრომ და თემურმა.

აღშფოთებული ბავშვები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ ამ ლაპარაკს.

აქეთ-იქიდან გაისმა:

— ჯიბეში ექნებათ!

— მერხში დამალავდნენ!

მასწავლებელი გაჯავრდა:

— ახლავე გადით კლასიდან! — უთხრა მან ორივეს.

— მე არ გავალ, — ატირდა თემური.

სანდროსაც ცრემლები მოერია. მან თემურს ხელი მოჰკიდა და ორივენი კარებისაკენ წავიდნენ.

— უჰ, სირცხვილი, სირცხვილი! — დასცინოდნენ ბავშვები.

— დაჩუმდით, ბავშვებო, ხომ დავსაჯე ისინი. ახლა გაკვეთილს შევუდგეთ.

— დააბრუნეთ სანდრო და თემური, მე ცარცი არ მომიტანია, — გაისმა ამ დროს კოტეს შეწუხებული ხმა. — იგი მასწავლებელთან მივიდა:

სიკო რომ გამომყვა, — განაგრძო მან, — მითხრა: ცარცი არ მოიტანო, გაკვეთილი არ ვიცი და მასწავლებელი ორიანს დამისვამსო და მეც... აღარ მოვიტანე... სთქვა ეს და ორივე ხელი თვალებზე მიიფარა.

სიკო თავჩაღუნული იდგა. მასწავლებელმა თავი აუწია და ჰკითხა:

— მართალია?

— მეტს აღარ... — წაილუღლუღა გაწითლებულმა სიკომ.

— მაშ წადი და სანდრო და თემური დააბრუნე!

სიკო გარეთ გავიდა.

— რას იტყვით, ბავშვებო, როგორ დავსაჯოთ დამნაშავენი? — მიმართა მასწავლებელმა ბავშვებს, როდესაც სამივენი დაბრუნდნენ.

— ბოდიში მოიხადონ სანდროს და თემურის წინაშე! დედ-მამამ დასაჯოს! — იძახდნენ აქეთ-იქიდან.

— ახლა ვაპატიოთ, — ითხოვეს სანდრომ და თემურმა: — მეტს აღარ იცრუებენ...

ბავშვები დაჩუმდნენ.

— ბავშვებო, — სთქვა მასწავლებელმა, — მე ვფიქრობ ვაპატიოთ, რადგან სანდრო და თემური ამას გვთხოვენ. კარგია, რომ სინდისმა შეაწუხა დამნაშავენი და თითონვე აღიარეს. ახლა დასხედით და გაკვეთილს შევუდგეთ.

ნინო ნაკაშიძე

ნახატი **ი. არდიშვილისა**



ილია სიხარულიძე

პაწაწინა ლექსები

1. კარგი შოფერი

კარგად მართავს თამაზი
თავის ახალ მანქანას,
საჭე დაატრიალა,
ავტო ააქაქანა,
შიგ მგზავრები ჩასხა და
ქარივით გააქანა;
შინ მშვიდობით დაბრუნდა.
არვინ დააზიანა;
მადლობელი არიან
გური, ნანა, ლიანა.

2. ჩვენი ძროხა

გათენდა, ხბო ბღავის,
ლედა ძროხას წველის;
გაიღვიძა ნანამ
და ლედიკოს ჰშველის.
ძღიერ უყვარს გოგოს
რძე, მაწონი, ყველი;
ფუჩინას ჩაუღბეს
მსუქანი რძით ყელი;
ფისოც იქვე ზის და
ისიც ტკბილ რძეს ელის.

3. მზევინარი

ვინ არ იცის, ვინ არის
გოგონა მზევინარი,
მხიარული, კისკისა,
მკვირცხლი, სახემცინარი!

მას არ მოსწონს ზარმაცი,
მწოდარა და მძინარი,
მტირალა და წუნია,
ცრემლებჩამომდინარი.

გამრჯელია, ბეჯითი,
მუდამ მოუწყინარი,
მუყაითობს ოჯახშიც,
სწავლაშიაც წინ არის.

ვინ არ იცნობს, ვინ არის
ცქრიალა მზევინარი,
მხიარული, კისკისა,
მკვიცხლი, მოუწყინარი!

ოთარის დედა

მამა ომიდან აღარ დაბრუნებულა. გმირულად დასდო თავი სამშობლოსათვის. დედა და ოთარი მარტონი დარჩნენ სახლში.

დედა სამსახურს შეუდგა. ოთარი დიდი კაცივით უკლის ოჯახს. ასუფთავებს, ალაგებს სახლს, ადუღებს ჩაის, მოაქვს პური..

ოთარს უყვარს დედა, უჯერებს და უგონებს. ფრონტზე წასვლისას მამამ დაუბარა: აბა, შენ იცი, დედას როგორ მიხედავო.

ახსოვს მამის დანაბარები, როგორც კი სკოლიდან დაბრუნდება, მაშინვე საქმეს შეუდგება ხოლმე, ჯერ გაკვეთილებს დაამზადებს, შემდეგ საოჯახო საქმეებს აკეთებს.

ასე ეხმარება დედას. დედა ხომ მუშაობს! დაღლილი ბრუნდება სამსახურიდან. იგი ოთარისათვის ზრუნავს. სულ იმას ფიქრობს, არაფერი დააკლდესო ჩემს შვილს. რასაც კი იშოვნის, სულ ოთარისათვის მოაქვს.

ოთარიც დედისათვის ინახავს ყველაფერს, დედას უყოფს და უზიარებს საჭმელს, ხილს...

დღეს მეზობელი ჩამოვიდა სოფლიდან. მათლაფით ხილი შეუტანა. ოთარმა მადლობა გადაუხადა, ხილი თავის თეფშზე დასცალა და მათლაფა უკან გაუტანა.

როგორ შესცქერის ჩაწითლებული ვაშლი, ასე ჰგონია, მოუწოდებს: ჩამკბიჩე, ნახე, რა გემრიელი ვარო.

თავის მხრივ ოთარიც უცქერის ხილს. უნდა ერთი მარცვალი ყურძენი მაინც გასინჯოს, მაგრამ არა, დედასთან ერთად შესჭამს, მაშინ უფრო გემრიელი იქნება. კი უნდა პირის ჩაგემრიელება, მაგრამ მოიცდის. სადაცაა დედაც მოვა, გინდ დაიგვიანოს, არა უშავს-რა!

მოთმინება უნდა ჰქონდესო ადამიანს, — ეტყოდა ხშირად მამა, ეს კარგად ახსოვს ოთარს.

* * *

უკვე შვიდი საათია, დედა კი არსადა სჩანს.

მოდი დაურეკავს, სამსახურში ხომ ეცოდინებათ.

— ძია შაქრო ბრძანდებით? მე ოთარი ვარ, ძია შაქრო. დედა წამოვიდა? ახლა? კრება ჰქონდა და დააგვიანდა? გმადლობთ, ძია შაქრო, გმადლობთ!

ხელად დატრიალდა ოთარი: ღუმელი ჩაურთო, კერძი დაადგა, სუფრა გაშალა. გარედ კი ქუხილია. „შვიდი საათია და როგორ ბნელა“, – გაიფიქრა ოთარმა. დედამისი გზაშია, ალბათ. რომ დასველდეს და ავად გახდეს? უნდა წავიდეს, წაუღოს ქოლგა, კალოშები, პალტო.

თუმცა იცის, რომელი გზით ბრუნდება დედა სამუშაოდან, მაგრამ გზაში



რომ ასცდეს? ცოტასაც დაუცდის.

გარედ საშინლად წვიმს. დედა ჯერ კიდევ არა სჩანს.

ოთარმა საწვიმარი წამოისხა, დედისთვის პალტო, ქოლგა და კალოშები აიღო. ღუმელი გამორთო, სინათლე ჩააქრო, კარები დაკეტა და გავიდა. წვიმას ცოტა გადაელო. ქუჩებში ნიაღვარი ხრიალით მირბის.

მიდის ოთარი. მიეჩქარება. კვლავ გაიელვა, დაიქუხა და წვიმამ წამოუშინა. ოთარმა ქოლგა გახსნა და ბნელში მიაბიჯებს.

გავიდა მთავარ ქუჩაზე. გამვლელი არავინა სჩანს. მაღაზიის შესასვლელიდან ლაპარაკი მოისმა. წვიმას არიდებულ გამვლელებს თავი მოეყარათ შესასვლელთან.

ოთარი შესდგა, შეისვენა, ქოლგა დაკეცა და დაბერტყა.

დედამისსაც იქ შეეფარებინა თავი. გზაში წვიმას მოესწრო და ცოტათი დასველებულიყო.

— პატარა ბიჭო, ვისი ხარ?—შეეკითხა ოთარს ვიღაც მოხუცი კაცი: — ამ

წვიმაში გარედ რა გინდა? დედმამა არა გყავს?

ოთარს ეწყინა. როგორ თუ არა ჰყავს დედ-მამა! თუმცა... მამა დაეღუპა, მაგრამ დედა ხომ ჰყავს. ახლა დედა მამის მაგიერობასაც უწევს და თავს ევლება.

— დედაჩემის შესახვედრად წამოვედი, ძია, არ დასველდეს მეთქი...

დედამ ხმაზე იცნო ოთარი. გახარებული მოეხვია შვილს. ოთარიც ისე ეხვეოდა დედას, თითქოს დიდი ხანია არ ენახა, თანაც ცალი თვალით მოხუც კაცს უყურებდა, ნახე რა დედა მყავსო.

დედამ პალტო და კალოშები ჩაიცვა, ქოლგა გაშალა, მხრებზე ხელი მოხვია ოთარს და შინისაკენ გასწიეს.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ნახატი პ. **დათებაშვილისა**

ბავშვების მეგობარი



ჩვენს ცნობილ მწერალს, ბავშვების მეგობარს ნინო ნაკაშიძეს 75 წელი შეუსრულდა. ჩვენი ჟურნალის მკითხველები კარგად იცნობენ მის შემოქმედებას.

ჩვენი მოზარდი თაობის უანგარო სიყვარული დაიმსახურა ნინო ნაკაშიძემ თავისი მრავალფეროვანი და ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე: მას მრავალი წიგნი აქვს დაწერილი ბავშვებისათვის და ახლაც ახალგაზრდული ენერგიით სწერს თქვენთვის, ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის.

ნინო ნაკაშიძე ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულს", სადაც ათავსებდა თავის საუკეთესო მოთხრობებსა და წერილებს. იგი ახლაც აქტიური თანამშრომელია ჩვენი საბავშვო ჟურნალებისა და გაზეთებისა.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა მის ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში და 1946 წელს „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვა. ნინო ნაკაშიძე დაჯილდოვებულია აგრეთვე მედლით „1941-45 წლების სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

ჟურნალ „დილას" რედაქცია თავის ნორჩ მკითხველებთან ერთად მსურვალედ მიესალმება საყვარელ მწერალსა და ბავშვების მოამაგეს ნინო ნაკაშიძეს და უსურვებს კიდევ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენ გვჯერა, რომ ნინო ნაკაშიძე კიდევ ბევრ კარგ წიგნს დაწერს ჩვენი მომავალი თაობისათვის.

ბავშვებო! ეს სურათი ჩვენმა მხატვარმა ანდრო კანდელაკმა გამოგვიგზავნა. დაკვირდით და მოგვწერეთ: რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა ამ სურათის დახატვისას?!

გასართობი

ჩასწერეთ...

ჩ	ა		ბ	ი
მ	ა		ს	ი
ბ	უ		დ	ა
რ	ი		ნ	ი
ჩ	ა		თ	ა
ა	პ		პ	ი
ნ	უ		რ	ი
ნ	ი		ვ	ი
ვ	ა		ლ	ი
დ	ა		რ	ა
ნ	ა		ვ	ი
მ	დ		ლ	ო

ბავშვებო! ამ ნახაზზე ცარიელ უჯრებში ჩასწერეთ ასოები, ისე რომ სიგანეზე დასრულებული სიტყვები მიიღოთ, ხოლო სიმაღლეზე ჩვენი საყვარელი მხცოვანი მწერლის სახელი და გვარი.

გამოცანები

1. ბაკი-ბუკი, ბაკი-ბუკი,
კაკი-კუკი, კაკი-კუკი!
ყელმაღალი, მირმაგარი,
ხან მავალი, ხან დამდგარი.

2. ნაწილობრივ ხეა იგი,
ნაწილობრივ მუა,
მას გვერდებში მაშინ სცემენ—
ეს საჭირო თუა.

ალ. საჩინოელი

3. არც ხელი აქვს, არც თვალი აქვს
და არც ფუნჯი—მართალია.
ღამით დადის ეზო-ეზო—
ის სარკმლების მხატვარია;
წუხელ ხატა შენს სარკმელზე
ვერცხლისფერი ვარსკვლავები,
და დათოვლილ ნაძვის ტოტზე
ბებელების თეთრი ფრთები.

ლ. მურმანიძე

სარედაქციო კოლეგია: გრ აბაშიძე, ლ. ავალიანი, ეკ. ბურჯანაძე,
ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გ. კაჭახიძე, რ. მარგიანი (პ./მგ. რედაქტორი),
ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი.

გარეკანის მეოთხე გვერდის მხატვრობა შალვა ცხადაძისა

„ДИЛА“ – ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ (на грузинском языке)

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28 1 სართ ელსმ. 3-81-85

გამომცემლობის შეკვ. № 129 სტამბის შეკვ. № 1617 ტირაჟი 7000 ფასი 5 მან. უე 01012

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კავშირის მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში